SEPTEMBER 7 19:00

სერგეი ბაბაიანი – ფორტეპიანო

ფრანც შუბერტი (1797–1828) (ფერენც ლისტის ტრანსკრიფციები)
„მეწისქვილე და ნაკადული“, S. 565 No. 2
„სამყოფელი“, S. 560 No. 3
„წყალზე სიმღერა“, S. 558 No. 2
„ქალაქი“, S. 558 No. 1
„გრეტჰენი ჯარასთან“, S. 558 No. 8
„სერენადა“ (შექსპირის მიხედვით), S. 558 No. 9
„ტყის მეფე“, S. 558 No. 4

რობერტ შუმანი (1810–1856) (ფერენც ლისტის ტრანსკრიფცია)
„სიყვარულის სიმღერა“ („მიძღვნა“), S. 566

ფერენც ლისტი (1811–1886)
„ღამის ჰიმნი“, S. 173a/1
რომანსი მი მინორი, „O pourquoi donc“, S. 169

მანუელ მარია პონსე (1882–1948)
ინტერმეცო No. 1

სერგეი რახმანინოვი (1873–1943)
„აქ მშვენიერია“, ციკლიდან „12 სიმღერა“, თხზ. 21 No. 7 (არკადი ვოლოდოსის ტრანსკრიფცია)
„მელოდია“, ციკლიდან „12 სიმღერა“, თხზ. 21 No. 9 (არკადი ვოლოდოსის ტრანსკრიფცია)
„სიზმარი“, ციკლიდან „ექვსი სიმღერა“, თხზ. 38 No. 5 (ერლ ვაილდის ტრანსკრიფცია)

ფრიც კრაისლერი (1875–1962) (სერგეი რახმანინოვის ტრანსკრიფცია)
„სიყვარულის სევდა“

კომიტასი (1869–1935) (გიორგი სარაჯიანის ტრანსკრიფცია)
„იავნანა“

არნო ბაბაჯანიანი (1921–1983)
„ქორალი“, ციკლიდან „ექვსი სურათი“

კომიტასი (1869–1935) (ვილი სარგსიანის ტრანსკრიფცია)
„შენ ხარ ჩინარი“

ფრედერიკ მომპუ (1893–1987)
„სიმღერები და ცეკვები“, No. 1

გიორგი სარაჯიანი (1919–1986)
„უსიტყვო სიმღერა“

კომიტასი (1869–1935)
„შუშიკი“, ციკლიდან „შვიდი ცეკვა“

იან სიბელიუსი (1865–1957)
„ნაძვი“, ციკლიდან „ხუთი საფორტეპიანო პიესა“, თხზ. 75 No. 5

ფრედერიკ მომპუ (1893–1987)
„სიმღერები და ცეკვები“, No. 6

ჰაროლდ არლენი (1905–1986) (კეიტ ჯარეტის ტრანსკრიფცია)
„ცისარტყელის მიღმა“

ხესუს გურიდი (1886–1961)
„La carrasquilla“, ციკლიდან „ძველებური ცეკვები“, ტომი I

ლეონიდ დესიატნიკოვი (*1955)
„წითელი ძახველი, მწვანე ფოთლები“, ციკლიდან „ბუკოვინას სიმღერები“

ედვარდ გრიგი (1843–1907) (სერგეი ბაბაიანის ტრანსკრიფცია)
„სიზმარი“, ციკლიდან „ექვსი სიმღერა“, თხზ. 48 No. 6

ისააკ ალბენისი (1860–1909)
„მალაგუენა“, ციკლიდან „ესპანეთი“, თხზ. 165 No. 3

პაულ ჰინდემიტი (1895–1963)
„შესავალი და სიმღერა“, „საფორტეპიანო მუსიკა“, თხზ. 37, II ნაწილი („პატარა პიესების რიგი“), No. 1

კომიტასი (1869–1935)
Semplice, ციკლიდან „შვიდი სიმღერა“, No. 1

სტივენ რეინოლდსი (*1947)
„შემოდგომის სიმღერა“, ციკლიდან „ორი პოემა ფორეს პატივსაცემად“

ფრანსის პულენკი (1899–1963)
იმპროვიზაცია No. 15 დო მინორი, „ეძღვნება ედიტ პიაფს“, FP 176

გაბრიელ ფორე (1845–1924) (სერგეი ბაბაიანის ტრანსკრიფცია)
„წყლის პირას“, თხზ. 8 No. 1

ფრანსის პულენკი (1899–1963)
„სიყვარულის გზები“

შარლ ტრენე (1913–2001) (ალექსის ვაისენბერგის ტრანსკრიფცია)
„აპრილი პარიზში“

ჯორჯ გერშვინი (1898–1937) (მორის ვიტნის ტრანსკრიფცია)
Oh, Lady Be Good!

Sergei Babayan – Piano

Franz Schubert (1797–1828) (transcr. Franz Liszt)
Der Müller und der Bach, S. 565 No. 2
Aufenthalt, S. 560 No. 3
Auf dem Wasser zu singen, S. 558 No. 2
Die Stadt, S. 558 No. 1
Gretchen am Spinnrade, S. 558 No. 8
Ständchen von Shakespeare, S. 558 No. 9
Erlkönig, S. 558 No. 4

Robert Schumann (1810–1856) (transcr. Franz Liszt)
Liebeslied (Widmung), S. 566

Franz Liszt (1811–1886)
Hymne de la nuit, S. 173a/1
Romance in E Minor, “O pourquoi donc”, S. 169

Manuel María Ponce (1882–1948)
Intermezzo No. 1

Sergei Rachmaninoff (1873–1943)

Where Beauty Dwells, from Twelve Songs, Op. 21 No. 7 (transcr. Arcadi Volodos)
Melody, from Twelve Songs, Op. 21 No. 9 (transcr. Arcadi Volodos)
Dream, from Six Songs, Op. 38 No. 5 (transcr. Earl Wild)

Fritz Kreisler (1875–1962) (transcr. Sergei Rachmaninoff)
Liebesleid

Komitas (1869–1935) (transcr. Georgy Saradjian)
Lullaby

Arno Babajanyan (1921–1983)
Choral, from Six Pictures

Komitas (1869–1935) (transcr. Villy Sargsyan)
Chinar es

Frederic Mompou (1893–1987)
Cançons i danses, No. 1

Georgy Saradjian (1919–1986)
Song Without Words

Komitas (1869–1935)
Shushiki, from Seven Dances

Jean Sibelius (1865–1957)
The Spruce, from Five Pieces for Piano, Op. 75 No. 5

Frederic Mompou (1893–1987)
Cançons i danses, No. 6

Harold Arlen (1905–1986) (transcr. Keith Jarrett)
Over the Rainbow

Jesús Guridi (1886–1961)
La carrasquilla, from Danzas Viejas, Book I

Leonid Desyatnikov (*1955)
Red Arrowwood, Green Leaves, from Songs of Bukovina

Edvard Grieg (1843–1907) (transcr. Sergei Babayan)
Ein Traum, from Six Songs, Op. 48 No. 6

Isaac Albéniz (1860–1909)
Malagueña, from España, Op. 165 No. 3

Paul Hindemith (1895–1963)
Einleitung und Lied, from Klaviermusik, Op. 37, Part II (Reihe kleiner Stücke), No. 1

Komitas (1869–1935)
Semplice, from Seven Songs, No. 1

Stephen Reynolds (*1947)
Chanson d'automne, from Two Poems in Homage to Fauré

Francis Poulenc (1899–1963)
Improvisation No. 15 in C Minor, "Hommage à Édith Piaf", FP 176

Gabriel Fauré (1845–1924) (transcr. Sergei Babayan)
Au bord de l'eau, Op. 8 No. 1

Francis Poulenc (1899–1963)
Les chemins de l'amour

Charles Trenet (1913–2001) (transcr. Alexis Weissenberg)
En avril à Paris

George Gershwin (1898–1937) (transcr. Maurice Whitney)
Oh, Lady Be Good!

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ამ უჩვეულოდ ვრცელ პროგრამას ერთი მკაფიო იდეა აერთიანებს: ფორტეპიანო აქ ხშირად სხვა ჟანრისა და სხვა ხმის მემკვიდრე ხდება. საღამო შუბერტის სიმღერების ლისტისეული ტრანსკრიფციებით იწყება და შემდეგაც არაერთხელ უბრუნდება ვოკალურ პირველწყაროს — შუმანის, რახმანინოვის, გრიგის, ფორესა და პულენკის სიმღერები საკონცერტო ფორტეპიანოს რეპერტუარში გადმოდის. XIX საუკუნეში ლისტმა ტრანსკრიფცია დამოუკიდებელ შემოქმედებით ხელოვნებად აქცია: მისი წყალობით სიმღერა, რომელსაც თავდაპირველად სიტყვა და ადამიანის ხმა ახლდა, მხოლოდ ფორტეპიანოს საშუალებითაც აგრძელებდა ცხოვრებას.
ამავე ხაზს პროგრამაში განსაკუთრებით პირადი ისტორიებიც ახლავს. შუმანის „მიძღვნა“ ციკლიდან „მირტები“ იყო პირველი იმ ოცდაექვსი სიმღერიდან, რომლებიც კომპოზიტორმა 1840 წელს კლარა ვიკისთვის საქორწინო საჩუქრად შექმნა. გრიგის „სიზმარი“ ფრიდრიხ ბოდენშტედტის ლექსზეა დაწერილი, რომელშიც სიყვარულზე ნანახი სიზმარი რეალობად იქცევა. პულენკის „სიყვარულის გზები“ კი 1940 წელს ჟან ანუის პიესა Léocadia-სთვის შეიქმნა და მსახიობსა და მომღერალ ივონ პრენტანს მიეძღვნა. ასეთივე ინტიმურობა ახასიათებთ „იავნანას“, „უსიტყვო სიმღერას“, „სიზმარსა“ თუ „წყლის პირას“ — სათაურებს, რომლებიც ამ საღამოს სხვადასხვა ეპოქასა და კულტურას ერთმანეთთან აკავშირებს.
ტრანსკრიფციის ტრადიცია პროგრამაში ლისტით არ სრულდება. რახმანინოვი კრაისლერს გადაამუშავებს; არკადი ვოლოდოსი და ერლ ვაილდი — რახმანინოვს; სერგეი ბაბაიანი — გრიგსა და ფორეს; კეიტ ჯარეტი, ალექსის ვაისენბერგი და მორის ვიტნი კი პოპულარული სიმღერებისა და თეატრალური მუსიკის საკუთარ საფორტეპიანო ვერსიებს ქმნიან. ამგვარად, ერთი და იგივე საღამოს პროგრამაში ერთმანეთს ხვდება გერმანული ლიდი, სომხური ხალხური მელოდია, კატალონიური „სიმღერა და ცეკვა“, ესპანური ცეკვა, ფრანგული შანსონი, ამერიკული მიუზიკლი და XX–XXI საუკუნეების ავტორული მინიატურა.
პროგრამის მეორე ნახევარში ეს მოგზაურობა განსაკუთრებით ფართო გეოგრაფიას მოიცავს — კომიტასიდან და ბაბაჯანიანიდან მომპუმდე, სიბელიუსამდე, გურიდიმდე, დესიატნიკოვამდე, პულენკსა და გერშვინამდე. ბევრ ნაწარმოებს თავდაპირველად სიტყვა, ცეკვა, სცენა ან ხალხური წყარო ედგა უკან; სხვები თავიდანვე ფორტეპიანოსთვის შეიქმნა. ბაბაიანის პროგრამა ამ განსხვავებულ წარმომავლობას ერთ სივრცეში აერთიანებს და გვახსენებს, რომ საფორტეპიანო რეპერტუარი მხოლოდ „ორიგინალური“ ნაწარმოებების ისტორია არ არის — ის ასევე გადმოტანის, მოგონების, ხელახალი წაკითხვისა და ერთი მუსიკალური ენის მეორეში გარდაქმნის ისტორიაა.

ამ დროს საქართველოში ...
1925 წელს, როდესაც კომიტასის საფორტეპიანო ცეკვების კრებული პირველად გამოიცა, საქართველოში სრულიად ახალი კულტურული სივრცე გაჩნდა: 23 მაისს საქართველოში რადიომაუწყებლობის ისტორია დაიწყო. იმავე წელს ნავთლუღის რადიოსადგურიდან პირველი რადიოკონცერტიც გადაიცა. გახსნის ერთ-ერთ ღონისძიებაზე ცნობილი ქართველი მომღერალი მარო თარხნიშვილი რვაკაციან გუნდთან ერთად გამოვიდა და „ურმული“ და რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა. ასე დაიწყო მედიის ეპოქა, რომელმაც მუსიკას კონცერტის დარბაზის საზღვრებს გარეთ გასვლისა და სრულიად ახალი მსმენელის პოვნის საშუალება მისცა.

Programme Notes
Notes by Nino Jvania

One clear idea unites this unusually expansive programme: the piano repeatedly becomes the heir to another genre and another voice. The recital opens with Liszt's transcriptions of Schubert songs, and throughout the evening it returns to vocal originals by Schumann, Rachmaninoff, Grieg, Fauré and Poulenc. In the nineteenth century, Liszt helped turn transcription into an independent creative art: songs originally inseparable from words and the human voice could acquire a new concert life through the piano alone.

This thread also carries some strikingly personal stories. Schumann's "Widmung", the opening song of Myrthen, belongs to the group of twenty-six songs he created in 1840 as a wedding gift for Clara Wieck. Grieg's "Ein Traum" sets a poem by Friedrich Bodenstedt in which a dream of love ultimately comes true. Poulenc's "Les chemins de l'amour" was written in 1940 for Jean Anouilh's play Léocadia and dedicated to the actress and singer Yvonne Printemps. "Lullaby", "Song Without Words", "Dream" and "Au bord de l'eau" add other intimate titles to a programme in which private feeling repeatedly crosses boundaries of period, language and nationality.

The tradition of transcription here does not end with Liszt. Rachmaninoff transforms Kreisler; Arcadi Volodos and Earl Wild transform Rachmaninoff; Sergei Babayan makes his own versions of Grieg and Fauré; and Keith Jarrett, Alexis Weissenberg and Maurice Whitney bring popular and theatrical songs into the orbit of the concert piano. German Lied, Armenian folk material, Catalan song-and-dance, Spanish dance, French chanson, the American musical and twentieth- and twenty-first-century miniatures can therefore coexist within a single recital.

In the second half, the journey becomes especially wide-ranging, moving from Komitas and Babajanyan to Mompou, Sibelius, Guridi, Desyatnikov, Poulenc and Gershwin. Some of these pieces began with words, dance, theatre or folk material; others were conceived directly for the piano. Babayan's programme places all of these origins

side by side and reminds us that the history of piano repertoire is not only a history of “original” works, but also one of transmission, memory, reinvention and the transformation of one musical language into another.

Meanwhile in Georgia...

In 1925, the year in which a collection of Komitas’s piano dances first appeared in print, Georgia also entered a new cultural era: On 23 May, the history of radio broadcasting in Georgia began. That same year the first radio concert was transmitted from the Navtlughi radio station. At one of the opening events, the celebrated Georgian singer Maro Tarkhnishvili appeared with an eight-member choir, performing her famous Urmuli and several Georgian songs. It marked the beginning of a medium that allowed music to travel beyond the concert hall and find an entirely new audience.